საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 02-06/387

ქ. ბათუმი

23 აგვისტო 2017 წ.

ბსუ-ს საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გურამ გვარიშვილის ანაზღაურებადი შვებულებიდან გამოძახების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბათუმის საჯარო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, **„ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის ქ.თბილისში მივლინების შესახებ"** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის 2017 წლის 23 აგვისტოს №02-06/386 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გურამ გვარიშვილი გამოძახებულ იქნას ანაზღაურებადი შვებულებიდან 2017 წლის 24-25 აგვისტოს. მითითებულ პერიოდში დაეკისროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულება და აღნიშნულ ვადაში აღუდგეს შრომითი ურთიერთობა.

2. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროს გურამ გვარიშვილს ანაზღაურებადი შვებულებიდან გამოძახების 2 სამუშაო დღე გადაეტანოს შემდეგისათვის.

3. საქმისწარმოებისას ამ ბრძანებით იხელმძღვანელონ ბსუ-ს სტრუქტურულმა ერთეულებმა, გურამ გვარიშვილმა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა, საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა და კანცელარიამ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე